



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სამშენებლო ფაკულტეტის
 საბჭოს სხდომაზე
 ოქმი № 4, 04.07.2012 წ.
მოდიფიცირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2020 წლის 12 ოქტომბრის
 № 01-05-04/156 დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია

Agricultural Hydro-Melioration

ფაკულტეტი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგი

Agricultural Science and Biosystems Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი მაია კუპრავეიშვილი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მაგისტრი
 (Master of Agricultural hydro-melioration) მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ
 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის შემდეგ, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სავალდებულოა უცხოური ენის B2 დონეზე ფლობის (ინგლისური, გერმანული,

ფრანგული, რუსული) დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა.

აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ უცხოურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ერთ-ერთ უცხოურ ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული).

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირა. სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებ-გვერდზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში “სასოფლო სამეურნეო ჰიდრომელიორაცია“ 120 კრედიტის განაწილება შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: სასწავლო კურსებს დათმობილი აქვს 90 კრედიტი მათგან 85 კრედიტი არის სავალდებულო სასწავლო კურსები, ხოლო 5 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები, სასწავლო კურსები ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას 10 კრედიტის ოდენობით, აგრეთვე გათვალისწინებულია საკურსო პროექტირება 12 კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს ეთმობა 30 კრედიტი.

კვლევითი კომპონენტი:

იგი გულისხმობს კვლევით სამუშაოებს, რომელიც მიმართულია მაგისტრატურის სტუდენტის უნარის განვითარებაზე დამოუკიდებელ თეორიულ და პრაქტიკულ მსჯელობასა და დასკვნების გაკეთებაში.

დეტალური ინფორმაცია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები და სკალები განთავსებულია სტუ-ს ვებ გვერდზე: <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>

პროგრამის მიზანი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სისტემური და სიღრმისეული ცოდნის მქონე მაღალი კვალიფიკაციის და კონკურენტუნარიანი მაგისტრის მომზადება, რომელიც უზრუნველყოფს: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდის და ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენების მიზნით, მორწყვის შესაბამისი მეთოდების შერჩევას და თანამედროვე ირიგაციული სისტემების დაპროექტებას; დაჭაობებული და დეგრადირებული მიწის მასივების ათვისებას და ნაყოფიერების გაზრდას სადრენაჟე ან დამშრომ-გამატენიანებელი სისტემების და აგრომელიორაციული ღონისძიებების კომპლექსურად გამოყენებით; წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადობის შეფასებას და დაცვას წყლისმიერი ეროზიული პროცესებიდან; სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორატორის არაპრგნოზირებად და მულტიდისციპლინურ სამუშაო გარემოში ადაპტირებას და მართვას; საკუთარი არგუმენტირებული სამეცნიერო კვლევებით განტკიცებული დასკვნების ჩამოყალიბებას და განზოგადებას პროფესიული პასუხისმგებლობის და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. შეუქმნას კურსდამთავრებულებს სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მყარი საფუძველი, რათა მიღებული განათლებით წვლილი

შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის დარგის გამართულ მუშაობაში.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. ლანდშაფტის ჰიდროლოგიურ პირობებზე და აგროკულტურების კლიმატურ მოთხოვნებზე დაყრდნობით, ადგენს მეურნეობის წარმოების რენტაბელობას;
2. იკვლევს ნიადაგ-გრუნტების ფიზიკურ-რეოლოგიურ და წყლოვან-ფოროვან თვისებებს; წყლისმიერი ეროზიული პროცესების რაოდენობრივ მახასიათებლებს;
3. ჰიდროლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური რუკების გამოყენებით ანგარიშობს ხარჯის უზრუნველყოფის სიდიდეს და სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილებას უახლესი მეთოდების გამოყენებით;
4. აწარმოებს საირიგაციო/სადრენაჟე სისტემების კომპლექსური ციფრული რუკის გენერირებას და 3D მოდელირებას;
5. შეისწავლის ნიადაგის ჭარბტენიანობის გამომწვევ მიზეზებს, მათი დაშრობის აუცილებლობას და აპროექტებს სადრენაჟე სისტემებს;
6. აპროექტებს ეფექტურ ირიგაციულ სისტემებს უახლესი ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენებით;
7. აწარმოებს წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადობის და საიმედოობის ანალიზს, მონიტორინგს და დაცვას;
8. ახორციელებს ჰიდრომელიორაციული სისტემის ოპერატიული მართვის, მანევრირების, გამოყენების და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებას;
9. განსაზღვრავს და არგუმენტირებულად ასაბუთებს ნიადაგების კონსერვაციის და დაცვა-გაუმჯობესებისთვის ეფექტურ ღონისძიებებს, წარადგენს დასკვნებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე ეთიკის სტანდარტების დაცვით;
10. დამოუკიდებლად აფასებს რა საკუთარი სწავლის პროცესს, გეგმავს სწავლის გაგრძელების შემდგომ საჭიროებას და წარმართავს მას.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, შემთხვევების შესწავლა (Case study), დემონსტრირება, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, წერითი, დედუქცია, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, ახსნა-განმარტება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;

- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენის, საჯარო დაცვისა და **შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.** შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 26 ივნისის №704 დადგენილებით დამტკიცებული „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესით“.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_dan5_181119_SD.pdf

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_mart_inst_18.1119_SD.pdf

დასაქმების სფერო

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- შპს „საქართველოს მელიორაცია“
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია;
- „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“;
- რაიონული მუნიციპალიტეტები;
- დარგობრივი კომისიები;
- ს.ს. „საქწყალპროექტი და სხვა დარგობრივი საპროექტო ორდანიზაციები“;
- დარგის შესაბამისი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (ლაბორანტები);
- ფერმერულ მეურნეობები, აგროფირმები, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დეტალური ინფორმაცია მოცემულია თანდართულ დოკუმენტაციაში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 30

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
სასწავლო კომპონენტები						
უცხოური ენა						
1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ აქვს	5			
2	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	არ აქვს				
3	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	არ აქვს				
4	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	არ აქვს				
სავალდებულო კურსები						
5	ნიადაგ-გრუნტების ფიზიკა	არ აქვს	5			
6	მელიორაციული ჰიდროლოგია და ჰიდროგეოლოგია	არ აქვს	5			
7	აგროკლიმატური რესურსები	არ აქვს	5			
8	ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებები	არ აქვს	5			
9	სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმომარაგების პროგნოზირების მეთოდები	არ აქვს	5			
უცხოური ენა						
10	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	არ აქვს	5			
11	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ აქვს				
12	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	არ აქვს				
13	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს				
სავალდებულო კურსები						
14	გეოინფორმაციული სისტემები	არ აქვს	5			

	ირიგაციასა და დრენაჟში					
15	წყლის რესურსების ოპტიმიზაცია სოფლის მეურნეობაში	აგროკლიმატური რესურსები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდები		5		
16	წყლისმიერი ეროზიის ფიზიკა და მექანიკა	ნიადაგ-გრუნტების ფიზიკა, მელიორაციული ჰიდროლოგია და ჰიდროგეოლოგია		5		
17	სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოყვანის აგრომელიორაციული ღონისძიებები	ნიადაგ-გრუნტების ფიზიკა, ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებები		5		
არჩევითი კურსები						
18	სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა - მენეჯმენტი	არ აქვს		5		
19	საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება სოფლის მეურნეობაში	არ აქვს				
20	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმის სტატისტიკური ანალიზი	არ აქვს				
21	დარგის მათემატიკური მოდელირება	არ აქვს				
22	ბუნებათმცოდნეობა	არ აქვს				
23	წყალსამეურნეო მშენებლობის ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა	არ აქვს				
24	ჩამდინარე წყლების გაუვნებელყოფა	არ აქვს				
25	ნიადაგი და ტექნოგენეზი	არ აქვს				
სავალდებულო კურსები						
26	სამეცნიერო კვლევითი მუშაობის საფუძვლები	არ აქვს			4	
27	წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადობა და საიმედოობა	წყლისმიერი ეროზიის ფიზიკა და მექანიკა			4	
28	ირიგაციული სისტემების პროექტირება	წყლისმიერი ეროზიის ფიზიკა და მექანიკა, გეოინფორმაციული სისტემები ირიგაციასა და დრენაჟში,			6	

		წყლის რესურსების ოპტიმიზაცია სოფლის მეურნეობაში				
29	ჭარბტენიანი ნიადაგების დაშრობა (პროექტირება)	წყლის რესურსების ოპტიმიზაცია სოფლის მეურნეობაში, გეოინფორმაციული სისტემები ირიგაციასა და დრენაჟში, სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოყვანის აგრომელიორაციული ღონისძიებები			6	
30	ჰიდრომელიორაციული სისტემების მენეჯმენტი (პრაქტიკა)	წყლის რესურსების ოპტიმიზაცია სოფლის მეურნეობაში, სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოყვანის აგრომელიორაციული ღონისძიებები			10	
	კვლევითი კომპონენტი	ირიგაციული სისტემების პროექტირება, ჭარბტენიანი ნიადაგების დაშრობა (პროექტირება), ჰიდრომელიორაციუ ლი სისტემების მენეჯმენტი (პრაქტიკა)				30
			სემესტრში:	30	30	30
			წელიწადში:	60		60
			სულ:		120	

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა

სასწავლო კურსები

უცხოური ენა												
1	LEH16312G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125	15	30					2	2	76
2	LEH16612G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული)	5/125	15	30					2	2	76
3	LEH16412G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული)	5/125	15	30					2	2	76
4	LEH16512G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული)	5/125	15	30					2	2	76
სავალდებულო კურსები												
5	PHS20610G1-LP	ნიადაგ-გრუნტების ფიზიკა	5/125	15	30					1	1	78
6	PHS20510G1-LP	მელიორაციული ჰიდროლოგია და ჰიდროგეოლოგია	5/125	15	30					1	1	78
7	AGC24610G1-LS	აგროკლიმატური რესურსები	5/125	15	30					1	1	78
8	ENV16410G1-LS	ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა- გაუმჯობესების ლონისძიებები	5/125	15	30					1	1	78
9	EET25610G1-LP	სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმომთხონილების პროგნოზირების მეთოდები	5/125	15	30					1	1	78
უცხოური ენა												
10	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15	30					2	2	76
11	LEH12312G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	5/125	15	30					2	2	76
12	LEH12712G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	5/125	15	30					2	2	76
13	LEH12912G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	5/125	15	30					2	2	76
სავალდებულო კურსები												
14	ICT24110G2-LB	გეოინფორმაციული სისტემები ირიგაციასა და დრენაჟში	5/125	15	30					1	1	78

15	ENV16510G1-LP	წყლის რესურსების ოპტიმიზაცია სოფლის მეურნეობაში	5/125	15	30				1	1	78
16	PHS23010G1-LP	წყლისმიერი ეროზიის ფიზიკა და მექანიკა	5/125	15	30				1	1	78
17	AGC24710G1-LP	სასოფლო სამეურნეო კულტურათა მოყვანის აგრომელიორაციული ღონისძიებები	5/125	15	30				1	1	78
არჩევითი კურსები											
18	BUA36402G1-LB	სამეწარმეო და ტენოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	5/125	15		30			1	2	77
19	BUA79210G1-LP	საინვესტიციო პროექტების მომზადება და განხორციელება სოფლის მეურნეობაში	5/125	15	30				1	1	78
20	MAS23410G1-LP	სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვის რეჟიმის სტატისტიკური ანალიზი	5/125	15	30				1	1	78
21	MAS37510G1-LP	დარგის მათემატიკური მოდელირება	5/125	15	30				1	1	78
22	EET25510G1-LP	ბუნებათმორწეობა	5/125	15	30				1	1	78
23	AAC40710G1-LP	წყალსამეურნეო მშენებლობის ორგანიზაცია, დაგეგმვა და მართვა	5/125	15	30				1	1	78
24	ENV16610G1-LP	ჩამდინარე წყლების გაუვნებელყოფა	5/125	15	30				1	1	78
25	AGC10810G1-LP	ნიადაგი და ტექნოგენეზი	5/125	15	30				1	1	78
სავალდებულო კურსები											
26	EDU13210G1-LP	სამეცნიერო კვლევითი მუშაობის საფუძვლები	4/100	15	15				1	1	68
27	AAC43410G3-LP	წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადობა და საიმედოობა	4/100	15	15				1	1	68
28	EET25810G2-BK	ირიგაციული სისტემების პროექტირება	6/150			15		45	1	1	88
29	EET25910G2-PK	ჭარბტენიანი ნიადაგების დამრობა (პროექტირება)	6/150			15		45	1	1	88
30	EET26010G2-R	ჰიდრომელიორაციული სისტემების მენეჯმენტი (პრაქტიკა)	10/250					120	2	2	126

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

მაია კუპრავიშვილი

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების
ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ლომიძე

ფაკულტეტის დეკანი

გიორგი ქვარცხავა

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მიღებულია

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს სხდომაზე

ოქმი № 4, 04.07.2012 წ.

მოდიფიცირებულია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების

ინჟინერინგის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

ოქმი №88 28.09.2020 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ქვარცხავა